# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

# ეროვნული კომისიის

# დადგენილება №83
# 2020 წლის 29 დეკემბერი

# ქ. თბილისი

## „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

**„მუხლი 8. სს „თელასის” ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 220/380 ვოლტი: | | |
| ა.ა) | 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | – | 6.975 თეთრი/კვტსთ; |
| ა.ბ) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე | – | 6.184 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 3,3-6-10 კილოვოლტი: | | |
| ბ.ა) | 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | – | 3.103 თეთრი/კვტსთ; |
| ბ.ბ) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე | – | 2.961 თეთრი/კვტსთ; |
| გ) | 35-110 კილოვოლტი: | | |
| გ.ა) | 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | – | 1.174 თეთრი/კვტსთ; |
| გ.ბ) | 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე | – | 0.544 თეთრი/კვტსთ.”; |

2. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. სს „თელასის“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული დროებითი ტარიფები ძაბვების მიხედვით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი): | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 27.908 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 3,3-6-10 კილოვოლტი: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 25.124 თეთრი/კვტსთ; |
| გ) | 35-110 კილოვოლტი: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 23.195 თეთრი/კვტსთ.“; |

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, სს „თელასის“ აბონენტებისათვის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული დროებითი ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 101 კვტსთ-ის ჩათვლით: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 15.289 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 18.689 თეთრი/კვტსთ; |
| გ) | 301 კვტსთ-დან და მეტი: | | |
| | 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე | – | 22.489 თეთრი/კვტსთ.“. |

**მუხლი 2**

2017-2020 წლების განმავლობაში სს „თელასის“ მიერ შესყიდული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირების ფარგლებში დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობის იმ ნაწილს, რომლის ანაზღაურებაც ვერ მოხდება ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფით, კომისია გაითვალისწინებს 2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ელექტროენერგიის განაწილების ტარიფში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე** | **დავით ნარმანია** |
| **კომისიის წევრი** | **გიორგი ფრუიძე** |
| **კომისიის წევრი** | **გიორგი ფანგანი** |
| **კომისიის წევრი** | **გოჩა შონია** |